



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-131/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.ა.ი.პ.
„სამოქალაქო ალიანსი განვითარებისთვის“ დამკვირვებლის რეგისტრაციის გაუქმების
თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 11 სექტემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.ა.ი.პ. „სამოქალაქო ალიანსი განვითარებისთვის“ ხელმძღვანელის ირაკლი შეთეკაურის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 11 სექტემბერს განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №2893) შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. გაუქმდეს რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.ა.ი.პ. „სამოქალაქო ალიანსი განვითარებისთვის“ დამკვირვებლის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 7 სექტემბრის №02-119/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებელს - რომანი საჯაიას.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი